

პროექტი „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“

ესეების III კონკურსი, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის გარემოს დაცვით საკითხებზე, დაიწყო!

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში, აცხადებს ესეების კონკურსს თემაზე **შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაბინძურებაზე არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელების გავლენა და შესაბამისი პროცესების მართვის ამოცანები ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნებისათვის (აჭარის მაგალითზე)**“ რომელიც მიზნად ისახავს, ახალგაზრდების თვალთ დანახული, გარემოს დაცვის საკითხების და მდგრადი განვითარების მიზნების პოპულარიზაციას და მათი ჩართულობის გაზრდას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს.

ესეების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2021 წლის 30 ივნისი, 18.00 საათი, ხოლო გამარჯვებულების ვინაობა 2021 წლის 3 აგვისტოს გახდება ცნობილი. ესეი უნდა შეადგენდეს 5-7 გვერდს.

კონკურსის ფარგლებში გამოვლინდება 2 გამარჯვებული (I და II) თითოეულ თემაზე, რომელთაც გადაეცემათ ფულადი ჯილდო 500 და 400 ლარის ოდენობით.

ესეების სათაურებია:

„არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელების როლი შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაბინძურების პროცესში (აჭარის მაგალითზე) „

ან

„რა გზებით შეიძლება მოხვდეს ესა თუ ის დამაბინძურებელი კომპონენტი არაკონტროლირებად ნაგავსაყრელებზე და რამდენად შეიძლება ისინი აღმოჩნდნენ საშიშნი ადამიანების ჯამრთელობასთან მიმართებაში“

ესეიში „არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელების როლი შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაბინძურების პროცესში (აჭარის მაგალითზე)“ უნდა აღიწეროს შავი ზღვის წყლის ჰიდროქიმიური შემადგენლობა, რით განსხვავდება შავი ზღვა სხვა ზღვებისა და ოკეანეებისაგან და შესაბამისად მოკლედ იქნას განხილული საქართველოს შავი ზღვის ტერიტორიის სანაპირო ზოლის გეომორფოლოგიური მდგომარეობა. ლიტერატურული მონაცემებიდან გამომდინარე წარმოგვიდგინოთ აჭარაში არსებული ის მცირე მდინარეები, რომლებიც ჩაედინებიან შავ ზღვაში და აგვიღწეროთ თუ რა ტიპის დამაბინძურებლებით ხასიათდებიან ისინი მათი ტერიტორიიდან გამომდინარე, რომლებსაც ისინი გაივლიან ზღვაში ჩადინებამდე.

მოგვაწოდეთ თქვენი მოსაზრებები იმაზე თუ რა და რომელი ტიპის დამაბინძურებლებით შეიძლება დააბინძურონ ნაგავსაყრელებმა ზედაპირული წყლები, ან რამდენად სერიოზულია მათი გავლენა ზედაპირული წყლების დაბინძურების პროცესებზე და რა უნდა ვიღონოთ იმისათვის რომ თავიდან

ავიცილოთ ამ ტიპის ანთროპოგენული დაბინძურება. ესეში უნდა წარმოვადგინოთ, ნარჩენების მართვის სფეროში რა გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის თვალსაზრისით. როგორ არის ასახული მთელ რიგ დოკუმენტებში და სამოქმედო გეგმაში მდგრადი განვითარების მიზნებით გათვალისწინებული ინდიკატორების მისაღწევად საჭირო ღონისძიებები.

ესეში „რა გზებით შეიძლება მოხვდეს ესა თუ ის დამაბინძურებელი კომპონენტი არაკონტროლირებად ნაგავსაყრელებზე და რამდენად შეიძლება ისინი აღმოჩნდნენ საშიშნი ადამიანების ჯამრთელობასთან მიმართებაში“ უნდა აღიწეროს თუ როგორ შეიძლება მოხვდეს არაკონტროლირებად ნაგავსაყრელზე ნებისმიერი საგანი ან რაიმე ნივთი, რომელიც შეიძლება შეიცავდეს რომელიმე ტოქსიკურ ნივთიერებას. ამ მხრივ საინტერესო იქნება გავშალოთ ეს თემა და ჩამოვაცალიბოთ თუ რა გზებით ხვდებიან ესა თუ ის დამაბინძურებლები ნაგავსაყრელებზე. ასევე საინტერესოა რა ხარისხის ტოქსიკურობით გამოირჩევიან ის კომპონენტები რომლებითაც ხასიათდებიან და ბინძურდებიან ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიები და როგორ შეიძლება ისინი აღმოვაჩინოთ მათში (ქიმიური ან მიკრობიოლოგიური მეთოდები).

თემა მოიცავს შემდეგ კონტექსტს:

შავი ზღვა ერთერთი უმნიშვნელოვანესი და უნიკალური შიდაკონტინენტური ზღვაა მსოფლიოში. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკოლოგიური პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ზღვაში შემავალ მდინარეებს თან მოაქვთ დიდი რაოდენობით ბიოგენური ნივთიერებები, სხვადასხვა სახეობის ორგანული დამაბინძურებლები, რომლის პროცესებში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ის არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელები, რომლებიც ხშირად განლაგებულნი არიან მდინარეების პირას. მდინარეებს კი თავისთავად დაბინძურებული წყლები შეაქვთ ზღვაში და შესაბამისად ადგილი აქვს სანაპირო ზოლის დაბინძურებას. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ოკეანესთან შავი ზღვის წყლის შეზღუდული მიმოცვლა ხელს უშლის ზღვის გარემოში მოხვედრილი დამაბინძურებლების გატანას, რის შედეგადაც ძლიერდება აკუმულაციური პროცესები. აქედან გამომდინარე, შავი ზღვა ძლიერი ანთროპოგენული დატვირთვის ქვეშ იმყოფება. რეგიონის ქვეყნებისათვის გარემოსდაცვით საკითხებს შორის ზღვის ეკოლოგიური პრობლემების კვლევა ერთერთ პრიორიტეტად არის მიჩნეული, რასაც მოწმობს შავი ზღვის დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები, რომელთა წევრი საქართველოც არის.

აჭარა არის რეკრიაციული ზონა და ყველასთვის ცნობილია თუ რამდენად მიმზიდველია ის ადამიანებისათვის ზაფხულის პერიოდში, რათა დაისვენონ და მიიღონ ზღვის აბაზანები წლის თბილ პერიოდში. აქედან გამომდინარე ყოველ წელს ზაფხულში აჭარის ტერიტორიაზე ისვენებს ადამიანების დიდი რაოდენობა და მნიშვნელოვნად გადატვირთულია ზღვის სანაპირო ზოლიც. შესაბამისად მოცემულ პერიოდში ადგილი აქვს სანაპირო ზოლის და კერძოდ პლაჟების საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებას, რომელსაც ტოვებს დამსვენებელი ყოველი ბანაობისა და მზის პროცედურების მიღების შემდგომ და რასაკვირველია საკმაოდ დიდია მათი წილი ზაფხულის პერიოდში შავი ზღვის წყლის დაბინძურების პროცესში. ასე რომ ერთერთი მნიშვნელოვანი დამაბინძურებელი კომპონენტი შავი ზღვის დაბინძურების პროცესისა არის ის საყოფაცხოვრებო ნარჩენები (მათ შორის

განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევიან პლასმასის ბოთლები), რომლებიც აღმოცენდებიან ხოლმე განსაკუთრებით წლის თბილ პერიოდში მდინარეების პირას ან სანაპირო ზოლზე და შესაბამისად ხვდებიან ზღვის სანაპირო ზოლის წყლის შემადგენლობაში.

ასევე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ გარემოსდაცვითი პოლიტიკა ხარჯთ-ეფექტური უნდა იყოს. იგი არ უნდა წარმოადგენდეს აუწყველ და გაუმართლებელ ტვირთს არც ეკონომიკისთვის და არც საზოგადოების სოციალური კეთილდღეობისთვის. ის მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესებთან.

მდგრადი განვითარება კი ნიშნავს, რომ ერთმანეთში უნდა დაბალანსდეს ეკონომიკური წინსვლა, სოციალური სამართლიანობა და ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს დაცვა. ანუ ეკონომიკური წინსვლა არ უნდა იწვევდეს სოციალურ და გარემოსდაცვით უკუსვლას, სოციალური საფრთხის, დამაბულობის, უკმაყოფილების ზრდას ან ფიზიკური გარემოს ისეთ დეგრადაციას, რომელიც ადამიანთა ჯანსაღ ცხოვრებას ხელმიუწვდომელს გახდის.

ესეები გადმოაგზავნეთ ელ. ფოსტის მისამართზე: orchisge@yahoo.com და მიუთითეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია, უმაღლესი სასწავლებლის დასახელება სადაც სწავლობთ, ფაკულტეტი და კურსი. ნაშრომის გადმოგზავნის შემდეგ დაელოდეთ ჩვენგან ესეის მიღების დადასტურების შეტყობინებას.

გისურვებთ წარმატებებს!

პროექტს „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი: საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, დავიცვათ საქართველოს სისუფთავე და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან და გარემოსდაცვითი საინფორმაციო და განათლების ცენტრთან თანამშრომლობით.

ტაშვენტის ქ.10ა, 0160, თბილისი , საქართველო

ტელ: (+995 32) 2385199; მობ.: (+ 995 595) 335699

ელ. ფოსტა: orchisge@yahoo.com

ვებ-გვერდი: <http://www.orkisi.ge>

Keep Georgia Tidy Project

3rd Essay Competition for High School Students on Environmental Issues launched!

With the financial support of the Government of Sweden and in the frames of the Keep Georgia Tidy Project, Georgian Society of Nature Explorers “Orchis” announces an Essay Competition on the theme of **“The share of dumpsites in the pollution of the Black Sea coastal and the management of relevant processes to achieve the SDGs by the country (based on Adjara case study)”** which aims to promote environmental protection and the Sustainable Development Goals as they are perceived by the youth and to increase their engagement.

The Competition is open to students of high schools.

The deadline for the submission of essays is June 30, 2021, 18:00. The winner will be known on 3 August 2021. Essays should comprise 5-7 pages.

Two winners (I and II) will be identified per theme in the frames of the Competition, which will be granted a monetary award comprising 500 GEL and 400 GEL respectively.

The headline of the essays are:

“The role of dumpsites in the contamination of the Black Sea coastal zone (based on Adjara case study)”

Or

“Ways particular contaminants may occur at dumpsites and how hazardous they could be for human health”

The essay **“The role of dumpsites in the contamination of the Black Sea coastal zone (based on Adjara case study)”** should describe hydro chemical content of the Black Sea, how the Black Sea differs from other seas and oceans, and briefly overview geomorphology of the Georgian coastal zone of the Black Sea. Based on the available literature, describe small rivers of the Black Sea basin that flow in Adjara, and describe pollution types that are likely to characteristic to them considering the areas they cross before falling in the sea. Please provide your opinion, what pollutants originated from the dumpsites may contaminate surface water bodies, or how severely could they influence surface water contamination processes, and what should be done to avoid such anthropogenic pollution. The essay should describe challenges that the country faces in waste management to achieve the SDGs; how various documents and action plan integrate measures that are needed to attain the targets defined for the SDGs.

The essay **“Ways particular contaminants may occur at dumpsites and how hazardous they could be for human health”** should describe how any good or item that may contain a certain toxic matter may occur at a dumpsite. The elaboration of this theme is anticipated so that to describe the ways particular contaminants occur at dumpsites.

Besides, the information about toxicity of the pollutants that could be found in surroundings of dumpsite areas and the methods of their detection (chemical or microbiological) is welcomed.

The theme covers the following context:

The Black Sea is one of the outstanding and unique intracontinental seas in the world. One of the significant problems is that the rivers of the Black Sea basin transport huge amount of biogenic matter and different organic pollutants. Dumpsites that are often located at the river banks notably contribute to this process because the rivers deliver contaminated water to the sea and cause the coastline pollution. It is noteworthy to note that the restricted water exchange between the Black Sea and the ocean hampers the removal of the noxious matter discharged into the marine environment and favours their accumulation process. Thus, the Black Sea suffers heavy anthropogenic load. The addressing of marine ecology issues is one of the environmental priorities of the countries in the region. The international conventions and agreements signed for the protection of the Black Sea and having Georgia among signatory parties are the evidence of this.

Adjara coast is a recreational zone, and everyone knows how attractive it is for people in the summer to rest and swim in the sea water during the warm period of the year. Numerous people recreate in Adjara in the summer each year, when the coastal zone gets notably overloaded. During this period the sea coast and specifically beaches become littered with household waste left by recreationists after swimming and sunbathing. It is obvious that this waste notably contributes to the pollution of the Black Sea water in the summer. Thus, one of the significant pollution sources for the Black Sea is the household waste (plastic bottles are especially numerous among them) which appear at the river banks and sea coast and then occur in the coastal waters of the sea, especially during the warm period of the year.

It is also highlighted that the environmental policy should be cost effective. It should not be an overburden and unreasonable load for economy or social wellbeing of the society. It should be tightly linked to the sustainable development processes in the country.

The sustainable development envisages balancing of the economic development, social justice, and protection of the physical and natural environment. That is, the economic progress should not entail social and environmental regress, increase of social threats, tension or resentment, or degradation of the physical environment so that healthy life becomes unavailable for people.

Please send your essays on the following e-mail address: orchisge@yahoo.com indicating your contact information as well as the name of your high school. After sending of the essay, please wait for our confirmation of its receipt.

Good luck!

“Keep Georgia Tidy“ Project is being implemented by the NGO Consortium: Georgian Society of Nature Explorers “Orchis”, Keep Georgia Tidy and Greens Movement of Georgia/Friends of the Earth Georgia through funding of the Government of Sweden, with

support of Georgian Ministries of Environmental Protection & Agriculture, Regional Development & Infrastructure, and Education, Science, Culture & Sport, and in cooperation with the Solid Waste Management Company of Georgia and Environmental information & Education Centre.

10a Tashkenti St., 0160, Tbilisi, Georgia

Tel: (+995 32) 2385199; mob: (+ 995 595) 335699

E-mail: orchisge@yahoo.com

web-page: <http://www.orkisi.ge>